

რედაქცია

მელიქიძის ქუჩაზე, პრეტორიუმის სხ-
ლაში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიძის სტამბაში.
შალაქს ვარუშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ
редакцію газеты „Дროზდა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება


მიიღება ქართულს, რუსულს, გერმანულს, ფრანგულს
ცულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით,
ატრიქონზე — 8 კაპ., ციცერონით, სტრიქონ — 5 კაპ.
და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით



საქართველო

მისიკა ზენიშვა

მრგანვე დავესწარ. იქაც ვიყავ
და აქაც.

პირველზედ ვერას ვიტყვი; მეო-
რეს კი ვერ დავადგებთ შეუნიშნავად.

მიზნები? მიზნები ის, რომ ტალახის
ჩირქვად არა ითქმისრა და სუფთა
რამ რომ გაჩირქიანდება, იმაზედ კი.

მსთქვით, რამოდენსამე რუსსამხა-
ნავობა აქეს გამართული; იმ ამხანა-
გებთაგან ნახევარმა იცის ფრანკუ-
ზული და ნახევარმა კი არა, მაგრამ
საქმეს კი მაინც ფრანკუზულად აწა-
რმოვებენ, ჰმართვენ და არც უთარ-
გმნიან დანაშთენ ამხანაგებს.

მს რას ნიშნავს? მს იმას ნიშნავს,
რომ ორივე მხარე მტყუანია... რა-
ტომ არ თხოულობენ ის ამხანაგი-
რუსები, რომ ჩვენ არ გვესმის ფრან-
კუზული და ჩვენს დედა ენაზედ გა-
გვგებინებო? იმიტომ რომ რო-
გორც უნდა გადაწყდეს საქმე, მთ-
თვის ერთია!!... — ახლა ვსთქვათ
ამთ მეტი არ ესმისთ, მაგრამ საქე-
ბია იმათთვის, რომელნიც ფრანკუ-
ზულ ენაზედ აწარმოებენ საქმეს,
რომ დანაშთენის უმ. ცრებით სარგე-
ზლობდნენ?... სწორეთ ამ მდგომარეო-
ბაში იყო აქაური კრება. — მაგრამ მუ-
კი ვერ გავიგე, თუ რა ენა უნდა

ყოფილიყო მათი დედა ენა? მართუ-
ლათ ხმას არ იღებდენ და რუსულ-
საც ვერ ახერხებდენ. — თუ არა
სძულთ ქართული, რად დაუვიწყე-
ბიათ? და თუ უყვარსთ რუსული,
რად ვერ უსწავლიათ, მაშინ როდეს-
საც სხვა ენა სულ არ იციან?

ამ გვარი კაცები გასაკიცხავეები
არიან, მაგრამ მათი ბედი, რომ სხვა
დრო დაუდგათ!...

როდესაც ჩიქორთულ — ქართულს
ამბობენ, მაშინ ქართველებსა ჰგო-
ნიათ, თუ რუ ული კარგათ იციანო
და აღარას ამბობენ; და როდესაც
დამტყრეულ რუსულს არახუნებენ,
მაშინ კი რუსებიც ჰფიქრობენ, თუ
ქართული კარგათ ეცოდინებათო, და
ამითი სარგებლობენ ჩვენი უნოები!.

საზოგადოთ კრებები აქ არ უნ-
და ინიშნებოდენ ზაფხულობით, რო-
ცა სიცხე აჭერს, თორემ უიმისოთაც
ზანტი ხალხი სულ იქანცება და გან-
ძრევა ეზარება.

აი სწორეთ ამის ბრალი იყო, რომ
კენჭის-ყრას ვერ იღებოდენ და სხვა-
და-სხვა ფოკუსებით ათავებდენ საქ-
მეს. მაგალითად: „ვისაც გსურთ ესა-
და ეს საქმე რომ ასე გადასწყდეს,
წამოდექით და ვისაც არა, იხედისთო!“
იტყოდა ხოლმე თავს-მჯდომარე. წა-
მოდგებოდენ ხოლმე რამოდენიმე და
რადგანც ამდგრები მჯდომარეებს
დაჰფარვოდენ, უმეტესობა ყოველთვის
წამომდგრები ეგონათ და ასეთაგებ-
დენ საქმეს; — ან და ხელის აღებით
სწყვეტდენ საქმეს. მართმა მეკენჭებ

ცალის ხელის მაგიერ, ორივე აიშვი-
რა მალა; მისმა მოპირდაპირემაც
მისის გამოჯავრებით ორივე ხელი
მალა აილა....

მს ბოლო აქვსთ ყოველთვის იმათ,
რომელნიც საზოგადო საქმეში ერ-
თმანერთს ექიშებიან!...

ჩვენის შეხედულობით, სულ უდი-
დესი უკანონობა ის იყო, რომ ზო-
გიერთებს, რომელთაც ფული დრო-
ზედ ვერ შემოუტანიათ და ახლა აპი-
რობდენ შემოტანას, ხმა წაართვეს.

აქ მხოლოდ პირადობა იხედებო-
და, კერძო ანგარიშები და არა საზო-
გადო კეთილის სურვილი. მართა-
ლია სახალხოთ, კრებაში უ. ბანკის
მმართველმა კი ითხოვა, რომ მის-
ცემოდათ იმათაც ხმა, მაგრამ ეს ჩვენ
დიპლომატიურ მოქმედებათ ჩავთვა-
ლეთ, რადგანც დარწმუნებული ვი-
ყავით და დღესაც ვართ, რომ ეს
საქმე მისის სურვილის თანახმად მოხ-
და, თორემ ერთი სიტყვა რომ ეთ-
ქვათ კერძოთ თავის მომხრეებისა-
თვის, ყველა თანახმა იქნებოდა.

ილიას გარდა, დიპლომატიური სი-
ტყვა ერთმა სხვამაც სთქვა. თუცა
მეტათ პატერის-მცემელი ვართ იმ
პირისა, ზოგიერთ საქმეების გამო,
მაგრამ არ შეგვიძლიან არ მოვაყუა-
ნოთ მისი სიტყვები აქ; — დეე დანი-
ხოს თვითონ, ლამაზად უთქომს თუ

დგებუძის თვალების ქაჩეა მარტო
ნაზ ნერვებიან ქალებს კი არ აში-
ნებდა.

იმერლებს არა ჰყავთ წინამძღოლე-
ლი, მოთავე კაცები. ბიორგი ლო-
დაბერიძე და ანტ. ლორთქიფანიძე
თითქო რაღაცას ფაცურობდენ, თით-
ქოს ანიშნებდენ ხან გაჩუმებასა და
ხან ყვირილს კრებასა, მაგრამ იმათ
ისევე უფრო მეგრელები უგონებენ,
ვიდრემ იმერლები.

თითქმის ხუთასი კაცი მეგრელი
ისე მოქმედებდა, ისე იქცეოდა კრე-
ბაში, თითქო ერთი კაცი იყენო:
რასაც მოთავე კაცები უჩვენებდენ
და ანიშნებდენ, ყველანი ერთად
დაიწყებდენ ყვირილსა.

„— პირველად მივიღებთ იმერეთში;
არ შევრცხვით იმერლებთანო; თან-
ხმობით და ერთად ვიმოქმედოთ!“
მს იყო თურმე იმათი პაროლი.

იმერლებმა კი თავის განხეთქი-
ლება და პარტიობა ამ ბანკის საქმე-

არა და თუ არ დაუჯდეს, მეორეთ
ფრთხილათ იყოს;

„...რადგანაც რომა... ტაკაკაკ... ეს
პირველი სროკი არ იქნება მაგათ-
თვის, ნე აღნ რაზ მიგვეცოთ კადე-
ცა, ნო მაგათ თავის უსლოვია აქამ-
დე ვერ შეუტრულებია... ვე, დღესაც
პოპრობუემ, ერთი კადეე იყუოთ ენის-
ხოჟდენია! პირველი ჟერტვა არ იქ-
ნება ეს ჩვენგან და... მიუშვათ!“

აკაკი

დღიური

მს სამი დღეა, რაც ივანოვის ბი-
ბლიოთეკა დაკვილია და დაკე-
ტილია სამომსამართლო მოქალაქი-
საგან, უფ. ადვოკატის ივანოვ დე-
ნილოვის ვალის გამო.

ამ გარემოებაზე ჩვენი ქალაქის
ზოგიერთს წრეში ამ ქამად ბევრს
ლაპარაკობენ. საზოგადოება ძალიან
უკმაყოფილოდ არის, რომ ის მო-
კლებული შეიქნა ერთად-ერთს ხეი-
რიან ბიბლიოთეკას, რომელიც მთი-
ლისში იმყოფებოდა. მაგრამ კიდევ
უფრო მომეტებულს ის აკვირებს,
რომ ეს საქმე ჩაიდინა უფ. დანი-
ლოვმა, რომელიც ჩვენი საზოგადო-
ების ინტელინგენციის წრეში ითე-
ლებოდა...

ახლა ჩვენ შეეიტყეთ, რომ ბი-
ბლიოთეკა ამ დღეებში ხელ-ახლად
გაიხსნება, რადგან, როგორც ამბო-
ბენ, ფინანსური კრიზისი თავიდაც
აიცილაო.

ფელტონი

თვალის-გადავლვა
მუთაისის საზოგადო კრებისა

ათასს კაცზე მეტი იყო მუთაისში;
ყველა წარმომადგენელი დასავლე-
თის საქართველოისა დავსწრენ ბან-
კის ამორჩევებს: იმერეთიდან, სამეგ-
რელოდან, ლეჩხუმიდან, რაჭიდან და
სხვ.

მრცელი ზალა საზნაურო სახლი-
სა, რომელიც კრებისათვის იყო და-
ნიშნული, ვერ იტევდა ხალხს.

სასიამოვნო სურათს წარმოადგენ-
და ეს დარჩეულ თავად-აზნაურთა
კრება!

რაც დასავლეთ საქართველოის
კეთილშობილობას საუკეთესო წარ-
მომადგენელი ჰყავდა, თითქო ყველა
აქ გამოვგზავნა. მშვენიერი, მხნე,
ლომის შეხედულობის ხალხი; ლაზა-
თაანად, მოხდენილად ჩაკმულნი,
„კბილებამდი დაიარაღებული“, რო-
გორც ფრანკუზები ამბობენ.

მართი ამათი გადახედვა აფიქრები-
ნებდა კაცს, რომ ძველი ქართვე-
ლური სული თითქო კიდევ უნდა
ეღვას ამ ხალხსაო. ა ე აზიარად: კა-
ცის გარეგანის შეხედულობით ჩვენ
ამ კაცის შინაგან თვისებებზე და ხა-
სიათებზე ვსჯით, და ეს სჯა ძალიან
ხშირად არ გვატყუილებს ხოლმე....

მეოროპიულ ტანისამოსიანებს, „კო-
თხიანებს“ ბევრი-ბევრი 20-30 კაცს
თუ ნახავდით; დანარჩენი სულ ჩო-
ხიანები, ჩერქესკიანები, ხრძლითა და
სატყერით გვერდზე, რევოლვერით
ან დამბ.ჩით უკან, ქამარში.

მეგრელები ცალკე დგანან ზალა-
ში, მარცხნივ; იმერლობა ცალკე,
მარჯვნივ; ამათ უკან ლეჩხუმლები
და რაჭიელები.

მოხუცებული პეტრე დიდიანი,
ახალგაზდა ტარიელ დიდიანი, ბესა-
რიონ ღვებუაძე და ალექსანდრე
იოსელიანი მეგრელების წინა კაცე-
ბი არიან; ამათი ნიშნებით ისინი ხან
საზარელი ხმით იწყებენ ყვირილსა
და ხან დაწყნარდებიან; ბესარიონ


შიაც ვერ დაივიწყეს; წულიკიძეები
ცალკე იყენენ, ლორთქიფანიძეები
ცალკე, შორაპნის უფზდი სხვა გზას
ადგა, მუთაისის სხვას, რაჭა და ლე-
ჩხუმი არცერთს არ ეთანხმებოდა,
სულ განზე იყო გამდგარი.

ამისთანა დიდი შეკრებილება პირ-
ველია ჩვენს ქვეყანაში. საქმე, რო-
მელმაც ეს საზოგადოება მოიწვია,
აგრეთვე დიდი და მიძიმეა...

მართი საზოგადო შენიშნვა:

მე ბევრჯელ დავსწრებივარ უცხო
ქვეყნების სახალხოპრებების სხდომას.
იქაური პარლამენტალური წესები,
იქაური პარტიები საუკუნოებით შემ-
დგარა და დაუფნებულა. შეველა წყის,
ყოველ პარტიას იქ თავის ისტორი-
ული მნიშვნელობა და საფუძველი
აქეს.

ამ ჩვენი ქვეყნის კრებას არცერ-
თი არ მიუძღვის წინ: წესებიც გუ-
შინ გაჩნდა და პარტიებიც...



ამ თვის 19-ს შუთაისში კიდევ გაჩენილა ცეცხლი და 15 ღუქანი დაღუპულა. ამ რას გვეყრენ ჩვენ, ამ ცეცხლის თაობაზე:

შუთაისი, 19 მაისს, დღეს ნაშუადღევს მესამე საათზე ხარაზოვის ღუქანში გაჩნდა ცეცხლი და ნახევარი საათის განმავლობაში 15 ღუქანი გარდაიწვა. 11 ღუქანი ხარაზოვის იყო. ხალხმა გასაკვირველი სიძარჯვე და თავგანწირულება გამოიჩინა.

„ცეცხლის გაჩენის მიზეზს ამასამზობენ: ერთმა ვიღაც ურჩამ სპიჩკა გაჭირავს, სპიჩკის თავი შევარდა და ნახევარ საათში ჩაქრდა, ნახევარი უცრად იფეთქა და ერთი წამის განმავლობაში მთელს ღუქანს მოედდა ცეცხლი ასე, რომ შეღუქნე მძივის კარში გამოვარდა მოასწრო.

„ქველა ღუქნები ცეცხლისაგან საზღვეველ საზოგადოებაში“ იყო შეტანილი.

როგორ ერთხელ კიდევ არ მოვაგონოთ შუთაისის ქალაქის მამგებობას თავის პირდაპირი მოვალეობა, რომ, ამ გვარი შემთხვევების წინააღმდეგ, იმან, რითაც შეუძლიან და როგორც შეუძლიან, ყოველი დონის-ძიება და საშუალება უნდა იმპაროს.

შუთაისიდანვე გვატყობინებენ, რომ გასულ კვირას იქაურს ფერმაში აღფერი უთამაშნათ საქალბო სასწავლებლის სასარგებლოდ, და 18 მაისს ამავე საგნისთვის საზნაურო სახლში საღამო ყოფილა.

ერთი ამბავიც კიდევ შუთაისიდან: „მთილისის მოამბე“, იმ უწყისების თაობაზე, რომელიც ამას წინათ შუთაისის გიმნაზიაში მოხდა, იწერება, რომ უფ. შელიხოვის გამორეკლავია ეს შემთხვევა და სამი მასწავლებლის: პრინციპის, სამოილოვის და მაცკვიჩის გამორიცხვა გადაუწყვე-

ტა. დირექტორის ლევანის მოქმედება კა ამ საქმეში სრულიად კანონიერად უცნია.

პიევის მიტროპოლიტის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენს უმაღლეს სასულიერო წოდებაში რაღაც ცვლილებებს მოვლოდნენ; ეს მოლოდონი არ გამართლდა: ამ ადგილზე, როგორც რუსული გაზეთები გვაცნობებენ, ტვერისა და ქაშინის არხიეპისკოპოსი — ფილოფეი დაუნიშნა.

მორიამ გვაცნობებენ, რომ იქაურ პოლიციას დაუჭერია გამოჩენილი ავაზაკი ოსი პრუცენა, რომელიც სამჯერ ყოფილა მორის სატუსალოდამ გაქცეული და რომელსაც თითქმის მთელი მაზრის ხალხი დაფობილი ჰყავდა თურქეთში.

შესანიშნავია, რომ ყოველთვის, როცა გაზეთი „ქავკაზი“ ჩვენი გაზეთიდან რამე ამბავს ამოიღებს, არ შეიძლება, რომ შეცდომა არ მოუვიდეს და ან სულ იმის წინააღმდეგ არ დაბეჭდოს, რაც ქართულად ეწერა. ამ ხალხს: წინა ნომრის „ქავკაზის“ ფელტონში, სხვათა შორის, ეწერა, ვითომც „დროების“ უფ. ნ. ნიკოლაძის ნეკროლოგი დაბეჭდოს და ფელტონისტი დაგვიწინადა, უფ. მესხი იმდენად შეუბრალებელი კაცი არისო, რომ ცოცხლებს ჰხრკავს და იმათ ნეკროლოგებს ბეჭდავს.

— საიღამ საღამო! როდის და სად იყო ნ. ნიკოლაძის ნეკროლოგი ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი-მეთქი, — ეფიქრობდით და ვერაფერი ვერ მოვიფიქრეთ. ბოლოს შევიტყეთ, რომ ვიღაცას (მგონი, უფ. მარკოს) უჩვენებია „ქავკაზის“ რედაქტორის უფ. სტალინისკისთვის № 39 „დროებისა“, რომელშიაც ილია შავჭავჭავაძის სტატია უფ. ნ. ნიკოლაძე და მისი „მეხედულება ბანკზე“ იყო დაბეჭდილი; სტა-

ლინისკის უფიქრნია (რატომ? — ეს იმას ჰკითხეთ), ეს წორედ ნიკოლაძის ნეკროლოგი უნდა იყოსო, აუღია და დაუწერია: ასეო, ისეო, მე ხიკაცებს ჰკლავს, ცოცხლების ნეკროლოგს სწერსო!

შეცდომა. „დროების“ № 48-ში, ფელტონში, შეცდომით არის მოყვანილი კენჭის ანგარიში შესახებ დირექტორის თ. ნ. დიდიანის; ამას ამოუყვია — 791 თეთრი კენჭი და 72 შავი.

„დროების“ კორექსორდენსია

სოფ. მინდელი, 26 აპრილს.

ამ აპრილს 16-ს იყო ჩვენს სოფელში ყრილობა საბუე-მისლის გამსვენებელ-შემნახველ აზნაგობის დამარცხებელ პირთა, რომელთაც ვახსნეს იმ დღეს ეს ამხანაგობა. ყრილობაში დაესწრნენ: უნი უზდის უფროსი, უეზდის თავდაზნაურობის წინამძღოელი, მომრიგებელ-შუამავალი, მისი თანამემწე და რომელნიმე თავადთაგანი. ყრილობა იყო, ჩვეულებრივ თითქმის ყველა ყრილობისა, თ. შიორგი ჯორჯაძის სახლში.

ათს საათზედ დილისა მოთავსდნენ თ. იასე შავჭავჭავაძემ მოიწვია ყრილობა ზალაში და მიჰმართა მათ სიტყვით, რომლისა საერთო ჰაზრი იყო შემდეგი: „ძანო! დღეიდან იწყობა მოქმედება თქვენგან დაუფიქრებულის იმისთანა საქმისა, რომელსაც ვალად ამეც უდიდესი სამღეთო მოვალეობა, რათა მოიყენოს რიგინ აღსრულებაში უმთავრესი მიზნი ამხანაგობისა, რომელიც მდგომარეობს არა თუ მარტო ფულის შოვნის გაადვილებაში, უფრო სხვა ღრმა საზოგადოებრივ მოსაზრებაში, ი. ე. გამოისხნას ხალხი ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდან და არ მიაღწეინოს ვიდრე ლატაკად გახდ-

ბოდეს, რასაც ვხედავთ ქვეყნის თითქმის ყოველ წილბეჭედილსა და უკან მიმავლინობის შეხედულობით უჩველად უნდა მოველოდნეთ; მეორეთ უნდა აღმოვხვრას მიზეზი ამ გვარ მოვლინებობისა ჩვენს ცხოვრებაში, ე. ი. მოსაზრს ჩვეულება სოფლის წურბელებიდან ფულის სესხობისა, რომელიც ორ-სამ წელიწადს ერთი ათად დიდდება ხოლმე და ბოლოს მის გარდასახდელათ საწყალი გლეხი-კაცის მთელი ქონება იყიდება ხოლმე; მისი ადვილ-მამული, რომელიც მის მამა-პაპას სისხლით და თოფ-იარაღით მიიღო დაუცვამს ტმობისაგან და არ დაუკარგავს უფრო საშიშს დროსა, ეხლა გადადის სხვა გარეშე პირის ხელში და თითონ კი რჩება ულუკო-პუროთ. ამ ადვილ-მამულის დაკარგვისაგან ჩვენი ხალხის დაცვა ერთობ საჭირო საქმეა, და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენცა გრძნობთ ამასა.

„მთმცა კარგათ გესმით აგრეთვე, რომ ამ გვარი საქმე ზოგიერთი თქვენგანის სარგებლობის დასაკლისა, რადგანაც უმეტესი ნაწილი თქვენთაგანი ფულიანი ხალხია და ეხლა ისრე ედარ ასარგებლებთ იმ ფულს, როგორც აქამდისინ, — მაგრამ თქვენ თქვენის კაცთ მოყვარეობით აღვსებულნი, რათა უშველოთ თქვენს საწყალს მზობელს გაჭირვებაში ფულის შოვნის გაადვილებით, იმედი მაქვს, საზოგადო სარგებლობას აძლევთ უფრო უმაღლეს ადგილს, რასაკვირველია შემდეგში ჩვენი ხალხი თავისის ნიეთიერის მდგომარეობის გაუმჯობესობით და სომხებისაგან დასხნით თქვენგან უნდა იყვენ დაეალბებულნი საუკუნოდ. მე კიდევ ჩემის მხრით დიდთ გიმადლით თქვენის კეთილ-განზრახვის და კაცობრიობაზედ გულშეტკეების გრძნობის გამოჩენისათვის.“

„მქვენ, უფალნო სამართველოს განმგებელათ აღმორჩეულნო პირნო,

მაგრამ ნეტა გენახათ, რა დისკრიპლინა რა წესი და პარტული პარი იყო ამ კრებაში, ამ ათასი კაცის სხვა და სხვა ნაწილებში!

მხოლოდ პირველს სხდომაზე მოხდა ის უწყობება, რომელიც ამას წინათ იყო ჩვენს გაზეთში აწერილი, და მეორე დღეს, როდესაც უფ. ნ. ნიკოლაძემ მოინდომა სიტყვის თქმა, და ესეც მხოლოდ იმ მოთავე კაცების, იმ მოწინააღმდეგე პარტიის საქმე და ბრალი იყო, რომელიც უნიკოლაძისაგან თავისთვის სასიკეთოსიტყვას არ მოვლოდა. საზოგადოება, განსაკუთრებით მეგრელები, რომელნიც ყველაზე უფრო მომეტებული ყვიროდნენ: „არ გვიანდა ნიკოლაძის სიტყვა გავიგონოთო!“ ყველაზე უფრო ნაკლებად იცნობდნენ ნაკოლაძეს; მაშასადამე არც ის ეკოლინებოდათ, თუ რა უნდა ეთქვა იმას; ესენი სხვებისაგან იყვნენ ჩაგანებულნი.

დანარჩენ დროს თითქმის ერთი ისეთი უწყობება არ მომხდარა, რომელიც ამ გვარ კრებებში ყოველთვის და ყველგან არ იყოს შესაძლო და მოსალოდნელი.

მთხვავთ, კრების დამცირებად არაფერს ჩამომართვათ, როცა მოგახსენებთ, რომ ისინი მოთავე კაცებს უჯერებდნენ-მეთქი.

ათიღამ ცხრა წილი მაინც ისეთი დაესწრო ამ კრებაზე, რომელსაც თითქმის ბანკის სახელიც პირველად გაგონა, რომელსაც ამ საქმის წყევანა „განათლებულებისათვის“ მიუწვდია თავის გულში. და რად გაგიკვირდებათ, რომ ამისთანა ხალხმა ამ „განათლებულებს“, ამ წინამძღომლებს, ანუ უკეთ ესთქვათ, ამ ცრუწინამძღომლებს დაუჯეროს? რად გაგიკვირდებათ, რომელმამე, უკაცრავად სიტყვაზე, შუაგული სამეგრელოს ტყიდამ გამოვარდნილმა მეგრელმა რომ ცივილაზიციის ლაქით მესმულს „შიორგი ლოლობერიას“ ანუ რომელსამე სათვალეზიან „პარ-

ტონსკუას“ დაუჯეროს და გაუგონოს ყველაფერი, რაც ჰქუაში დაუჯდება, რასაც, თავის ჰაზრით, თავის ბანკისთვის სასარგებლოდ დაინახავს საქმე იმაშია, რომ ეს მიყოლა, ეს დარწმუნება წმინდა, გულწრფელი და ანგარებით გაუსვრელი იყო. შუანასკნელი წვერი კრებისა მხოლოდ იმიტომ იდგა ერთს რომელსამე გადწყვეტილებაზე, რომ ამას ბანკისათვის სასარგებლოდ ხედავდა; მტრობითა და მოსყიდვით არაფერს არ უგდებდა შავ კენჭს, არამედ სხვა უფრო პატოლსური ანგარიშით, რომელიც იმის ჰაზრით ბანკს შეეხებოდა.

მართალია, ამბობენ, ბევრსაც ამბობენ, რომ ფული დაარბიგოს, და მფასებლების ადგილები უკანასკნელსამოც-და-ათკაცს დაჰპირდნენო, ვექსილები დაიწერა და დაიხაო და სხ. ამბობენ, მაგრამ მე თითქმის ნამდვილად შემიძლიან ესთქვა, რომ ამ გვარ საქმეში კრება არ გასერილია; და არ გასერილა იმიტომ, სხვათა შორის, რომ ძნელიც იყო უმრავ-

ლესობის მოსყიდვა; და ერთსა და ორს რომ თავსლაფი დაეხას, ეს მთელ კრებას ჩირქს ვერ მოსდებს, ვერ გააქუქყანებს. მთ ეს მართალია, რცხვენოდეს იმას, ვინც მისცა, ვინც დახარჯა და უფრო მომეტებულიად იმას, ვინც აიღო!

ამ საზოგადო შენიშვნების შემდეგ ახლა ორიოდე სიტყვა მომისმინეთ იმ კერძო პირებზედაც, რომელნიც შემჩნეულნი იყვენ კრების დროს. ამ პირებში ზოგიერთებს ისეთი გავლენა ჰქონდათ საზოგადოებაზე და ბანკის საქმის გადაწყვეტაზე, რომ ეს ორიოდე სიტყვა მტეტი არ იქნება; მეტი არ იქნება, მეორეს მხრით, იმიტომაც, რომ ამ პირებს შემდეგ კრებელშიაც, შემდეგ ჩვენ საზოგადო საქმეშიაც ექნებათ გავლენა და მნიშვნელობა.

დვიწყით იპერეთიღამ, როგორც უფროსი ძმიდან:

მეკრეპე

უნა ხელმძღვანელობდით მხოლოდ საზოგადო სიკეთის სურვილით, ხიზიძის და პატრიარქებით და არა პირადი ანუ მეგობრობითი და ნათესაობითი მიდგომით, — მხოლოდ მაშინ შეგიძლიანთ კეთილწარმოტოვებულად მონდობილი საქმე და მოუტანოთ თქვენს დამარწმუნებელს ამხანაგობას და ერთობ საზოგადოებას სარგებლობა.

„ახლა დასხედით და საერთოდ მოეთიქროთ, თუ როგორა სჯობდეს ჩვენს ამხანაგობის გამართვა.“

მ. ბიორგი ჯორჯაძემ უთხრა კრებას, იქონიონ სახეში, რომ თვითონ სახელი „ამხანაგობა“ გვიჩვენებს, რომ ჩვენ ვხლა აქ ყველანი ამხანაგები ვართო, ერთის ხისხანი და შეგვიძლიან ყველას ამოცდოთ ხმა, თვითაიხისი აზრი გამოვთქვათ ამ საქმის შესახებო.

შემდეგ ამისა თ. იასე ჭავჭავაძემ წინადადებო ყრილობასა, რათა განესაჯათ შემდეგი კითხვები: 1) რა სარგებლობა გავსახსნის ამხანაგობამ ფულებზე? 2) რა სარგებელი მისცის პირთა, რომელნიც შენასახათ და სასარგებლოთ შემოიტანენ ამხანაგობაში ფულსა? 3) მის მიანდონ უფლება ამხანაგობაში შემოსვლის მსურველ პირების წევრად მიღებისა?

შემდეგ გახურებულ ბასისა გლეხებთა შუა, დადგინეს შემდეგი: 1) ამხანაგობამ აიღოს გასესხებულ ფულზედ სარგებელი 12%, რადგანაც ამ პირველს წელიწადს დიდი გაიფილი მოუწდება. 2) პირთა, რომელნიც შესანახათ და სასარგებლოთ შემოიტანენ ფულსა უფადოთ, მიეცეთ სარგებელი 3%, და რომელნიც — უფადოთ იმათ 5%, 7% და 8% შეხედულთ.

ჰილანობა

ბაშოვიდა მოედანზედ ორი მოქიდავე. ერთი ბორელი და მეორე ქახელი; ორივე მეტათ გაკურათებული. ახედ-დახედეს ერთმანეთს, ათვალწუნეს ერთმანეთი და შეექნათ შუილი: — მეყოფა ამდენი ფლანგობა შენო. დღეს იქით ჩვენც ვიყოთ, ჩაპოდექი, გზა მომიცია! შთხრა გორელმა.

— თუ წყალობასა მთხოვ, გულდასურვებდ უნდა გედოსო და თუ მუქარით მოდიხარ, იარადი ხელში უნდა გჭიროსო! მიუგო კახელმა.

— მჰ, მაშ კარგი, რადგანც ნებით არა გეშორდები, მაშ ძალაზედ შედგეს საქმე, კახელო!

— კეთილი და პატრიარქანი, ჩემო გორელო, მაგრამ მე „ვერ-მიცანი“ მქვინა!.. არ გაგვიგონია, რომ ჩემმა ძველმა თავი გამოიჩინაო?

— მე კი გამოგონია, მაგრამ შენც კი უნდა გქონდეს ჩემი ძველების ამბავი შეტყობილი. ძველთ ხერხი ვისი ქიბულა, თუ არ მათი?

— ამ გვარ უტიფარ სიტყვებით ერთმანეთი არკი გაჯაჯრეს!

ძართლელი მშვიდობიანია, სანამ არ გაჯაჯრება; მაგრამ თუ გახურდა, ვერძივით იცას დაჯახება.

ით ვადისა. 3) უფლება ამხანაგობაში შემოსვლის მსურველთ პირების მიღებისა მიენდოს სამართველოს განმგებელთა.

შეადგინეს ამაზედ პროტოკოლები, მოაწერეს ხელი და შემდეგ იწყო გროვება ფულებსა, რომელიც შედგა 27 წევრისა 1,116 მ. 40 კ. უფთავ-მჯდომარემ გადათვალა აქ ეს ფული და ჩააბარა სამართველოს განმგებელთ.

მა რომ გაათავეს, შეადგინეს ახლა თხოვნა უფ. ლუბერანტორთან გასაგზავნათ, რომელშიდაც თხოვდნენ მას შუამავლობას, ვისიც წინ რიგია, რათა მათი საზოგადოების შეკლის ფული სამას-სამოც თუმნამდინ, რომელიც იმყოფება შესანახათ პრაკუში და ხაზინაში, გარდმოცენ მ. თვე მათ გამესხებელ-შემანხველ ამხანაგობის განსადლიერებლათ.

მ. ბიორგი ჯორჯაძემ, რომელიც ყოველთვის ასრე მხურვალედ თნაუგრძნობს ყოველ ამ გვარ კეთილ საქმეს, და არა მარტო თითონ, მთელი მისი სახლობა, — პირველი ერთი წლის სამწერლოს ხარჯი თითონ მიიღო თავის თავზედ.

ამით გათავდა სხდომა რომლის შემდეგ თ. ბ. ჯორჯაძემ სთხოვა ყრილობას, რომ ერთობით იმასთან დაჩინილიყვნენ სადილად.

სადილათ ორმოცდაათ კაცამდინ ისხდნენ ორ რიგათ, და რომ პატარა შექიფიანდნენ იწყეს მრავალი სადღეგრძელოების სმა ჩამოლოცვითა და სიმღერებით, რომლისა შემდეგ ხუთს საათზედ შუადღას უკან ყრილობა დაიშალა. მესამე დღეს კვირას მღვთისმობლის ეკლესიასთან, კაკლებს ქვეშ, მშვენიერ ჩრდილოვან

ქახელი ძლივს დაზოზმანობს; მაგრამ თუ ერთი გასწია კამბეჩივით, ძნელადლა შეიძლება მისი დამაგრება!

უკანურდენ ფლანგები და შეუტყვის ერთმანერთს. საქმე შევლანზედ მივარდა.

დასწერა კახელმა წიგნი, მაგრამ რა წიგნი? მთხი პწკარი (სტრიქონი) ოთხ დღეს სწერა, ისე მოთქვებით გაისარჯა და გაუგზავნა კახელებს: — „ძმა ძმისთვის და ამ დღისთვისო!“

გაჭირვების დღე მადგას და აბათქვენ იცით, და თქვენმა კაცობამ, თუ მომეშველებითო. იდგეთ, ნულარ დაჯდებით და იჯდეთ, ნუ დაწვებით, ისე გამოგშურეთ აქეთკენაო. სხვა თუ ვიღარა მოახერხოთ რა, რაც თავთავი ბიჭები ხართ, სულ ფეხ-ფეხ წამოდიოთო!

— კეთილი და პატრიარქანი, შემოუთვალეთ, მაგრამ ფეხ-ფეხობა რა გასჭირიაო? აქ არა გვეყვს მამა-პაპის ეტლებიო!... უამბები მზათა გვაქვს, კამბეჩება შევებამთ, მოლტსაც ხელში ავიღებთ, ერთ ტპპრუს! დავსძახებთ და ძალაქში ჩამოვრჩინდებითო!...“

მა ამბავი რომ გაიგო ბორელმა, იმანაც აიღო კალამი ხელში და მიუწერა თავისიანებს:

„მეც მომეშველეთო!... თუ სხვა არა დაგირჩესთრა, ქვეით წამოდიოთ.“

ადგილს იყო შეყრალი მთელი საბუეს და მინისლის საზოგადოების ხალხი, რომელთთანაც გამოვიდნენ თო. იასე ჭავჭავაძე და ბიორგი ჯორჯაძე განსამარტებლათ მათთვის ამხანაგობის მიზნისა, მიშენელობისა და წესდებულებისა და ჩასაგონებელად, რათა შემოვიდნენ ამხანაგობაში, რომ შეეძლოთ ყოველს დროს გაჭირვებისა ისესხონ იაფად ფული.

მ. იასე ჭავჭავაძემ იწყო მითი, რომ მიულოცა ხალხს: „მე როგორც თქვენი მეზობელი, თქვენი საზოგადოების კეთილ-მსურველი გულითა და სულით ვმხიარულებ თქვენს შუადწყობილ გუშინ-წინდელ კეთილ საქმესა და ვისურვებ, რომ მისმა კეთილ წარმოებამ და კეთილ ნაყოფურებამ გულიდადი სასურველი საზოგადო სარგებლობა მოგიტნოთ და სხ. ამ გვარი.“ ამასთან აუხსნათ წესდებულება ამხანაგობისა, მისი მიზანი და დანიშნულობა.

ზარდა მინისლისა გამსესხებელ-შემანხველ ამხანაგობანი გაიხსნენ აგრეთვე სოფ. ნაფარულში და შეარულში.

მღვთი-წვერი ამხანაგობისა

პიატიგორსკი, აპრილის 26-ს

პიატიგორსკი, ზოგიერთ შემთხვევაში, ძალიან წაგავს ბინძურ მიმართულებების მანდილოვანს, რომელსაც გარედამ ელვარე ფარის კაბა აცვია და შიგნით კი გაურცხელი წუწიანი იუპკა და სხე... ასეა პიატიგორსკი: გარედამ დიდი სახელი აქვს და შიგნითი ქუჩები და ეზოები კი ნაგვითა და უწმინდურობით საესვა.

როგორათაც ზოგიერთ ქალაქებში, ეგრეთვე აქაც შემდგარია სანი-

ტარის კომიტეტი (ქალაქის სისუფთავის დამცველი), რომელსაც ვეღარც ვხედავთ ის არის, რომ ამხანაგობისა ჯეროვანი ყურადღება ქალაქის სიფაქიზით შენახვას, რადგანაც ბინძურობა და უფაქიზობა მშობელია ყოველ გვარის ავთმყოფობის და ვიდეციურის ქირისა. მაგრამ, მაგარიც ვახლავს, რომ თითქმის ყოველგან ამგვარი კომიტეტების დაფუძნება მხოლოდ სახელისათვის მაჩინით და არა სახრავათ. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ დამხრჩვალი კატა ან ძაღლი ვღია ქუჩაში და ღებება, რომლის გამოც ჰაერი იწამლება და ადამიანსაც ვეღარ გაუწვია სულ-შაუგუბებული.

აქ ერთი ექიმი დგას თავის საკუთარს სახლებში (აქ მომეტებულ ნაწილათ ექიმებს ეკუთვნით სახლები), უ. მ., რომელიც ექიმობის გარდა როგორც ვაეიგე, წვერი არის აქაური სანიტარის კომიტეტისა და მამასადამე ვალდებულია, რომ დაიცვას სიფაქიზის წესი. მს ექიმი შუა ქალაქში დგას; როგორათაც ადამიანების მონადირეა, ეგრეთვე გარეული ფრინგლის და ნადირისაც; ამის ეზოში ორმოცდაათი მონადირე ძაღლი მეტი იმყოფება და რასაც ყოველ თვეობით აჩენენ ლეკვებს, იმის სტატისტიკა ჯერ არ არის შემდგარი. ამიტომაც ქუჩაში და ეზოში გამოუთლვეელი ბინზლის სუნია, რომლის გამოც იწამლება ჰაერი და ადამიანს სუნთქვას უსაობს; და როდესაც ყრუილით ხარს დანიწყებენ ხოლმე, მაშინ ხომ ერთი საშუალება-ლა აქვს ადამიანს დარჩომილი: — ყურების დახშობა.

სამოქალაქო კანონით და გიგიენურის წესითაც, ამ გვართ ძაღლების

დალონდნენ კახელები და შეწუხდნენ ქართველები. მაგრამ რაღა გზა ჰქონდათ; მომხრეებს ვეღარ საიღამ ხელადნენ, რაც იყვნენ, უნდა დაკმაყოფილიყვნენ.

წინა ღამეს ქართლელებმა ცეხრები დაჰკლეს, კახელებმა ტყეები დახსნეს; პირველებს ხორაგი ჰქონდათ ბევრი, მეორეებს ღვინო. იფიქრეს: ეს ჩვენი ღვინო ცალ-ცალკე ცალფეხობა იქნებოდა და მოდი ერთი ექნათო: ეს ჩვენი ღვინო მგ თქვენს ცხვრებს შეუერთოთ და ერთად ძმობის პური ესჭამოთ!

დათანხმდნენ, დასხდნენ, გათენებამდინ იქეფეს, შერიგდნენ და მეორე დღეს ხელი-ხელ გადახვეული გამოვიდნენ მაედანზედ. მა რომ ბორელმა ფაჰლანგანმა დაინახა, მოვიდა ქახელთან და უთხრა: — რადგანც ბედიც შენსკენ ყოფილა, ლმერთმა ხელი მოგიმართოს, მე შენ აღ რ გექიშებო. მს ბურთიც და ეს მოედანიც ღმერთმა შენ მოგახმაროს! ზადაჰკოცნა და გაშორდა.

მაყურებლებმა გაიციინეს და სთქვეს: „მსე სჯობიან, ამ სიტყვიში რა დროს ჰქიდაობა ყოფო!“ — და დაიშალენ....

შენახვა შუაგულ ქალაქში აკრძალულია; მაგრამ ვინ არის ყურისმგებელი?

აქური ადგილობრივი ადმინისტრაცია და ქალაქის გამგეობა (დუმა) ისეთი ჩონჩხ მიმართულებასანი არიან, რომ მეტი აღარ შეიძლება. შპირველეს ქუჩას აქ ბულვარი შეადგენს, რომელზედაც ორ მჭკრეხედ აქა-იქ ჩარიგებულია ხეები და უბან-უბან კორამები (პარკი). ასე გასინჯეთ, რომ ამისი წესიერათ დაცვა-არ შეუძლიანთ, ნამეტნავათ ვიდრე კურსი დაიწყება. ამ ბულვარზედ რამდენსამე ადგილას დარკმულია მაღალი სარი და ზედ პატარა ოთხკუთხიანი შავათ გაღესილი ფიცარი ჰქიდა, ზედ თეთრათ წარწერით: „Сбережние бульвара поручается просвещенной публикѣ.“ ასე რომ ყოველ დროს ყოველი სულდგმული ამ ბულვარზედ მოსიარულე ვალდებულია ამ წესის დაცვისა; მაგრამ თქვენც არ მომიკედეთ, აქ ურძობებს და ხარებს ველარა გააგონეს-რა შავი ფიცრით და თეთრი ასოებით, რომლებიც მივლენ არხენათ გაიქეცებიან და გადაჰლენწამენ ხოლმე ძირეულათ.

ბ. ზემელი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი. მთელი მეროპის ყურადღება ოსმალეთზედაა ამ ჟამად მიქცეული. ოსმალეთი და რევოლიუცია! ოსმალეთი და კონსტიტუციური მმართველობა! — ეს ვის არ გააკვირვებს? მაგრამ, როგორც ახლა ამოჩნდა, ეს მოსალოდნელი ყოფილა: ამ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ერთობ დიდი მნიშვნელობა მისცემია სტამბოლში იმ „ახალგაზდა ოსმალეთის“ პარტიას, რომელიც დიდი ხანია თხოულობდა, რომ სხვა და სხვა რეფორმები მოეხდინა მმართველობას და ევროპული წესები შემოეღო ოსმალეთის გამგეობაში და ცხოვრებაში. სოჭტის (სტუდენტების) პარტია ისეთნაირად გაძლიერებულა იქ ამ უკანასკნელ დროს, რომ რასაც მოსთხოვენ ხონთქარს აბდულ-აზისს, უნდა აესრულებინა.

ახლა კი მთლად მმართველობაც ამ პარტიას და იმის წარმომადგენლებს ჩაუგდიათ ხელში. ძველი ხონთქარი აბდულ-აზისის სერალშიათუ რამე დამწყვეთი და ამის ტახტზე კი კანონიერი მემკვიდრე, იმის ძისწული მამუქედ-მურადი დაუყვამთ. ამბობენ, რომ ახალი ხონთქარი ევროპიულად განათლებული და გონიერი კაცი არისო. დიდი იმედი აქვთ, რომ ის ამ უბედურს დღეში და გაჭირებაში ჩაყარდნის ოსმალეთს ენერგიულ ღონისძიებას მოუწახავს და ამ სულთა-მბრძოლ მამაკედანს სახელმწიფოს მოარჩენს.

პირველი განკარგულება და მოქმედება ახლის მმართველობისა ამის იმედს აძლევს ყველასა: რევოლიუციის მოთავე კაცებმა და ამითან ერთად ახალმა ხონთქარმა გამოაცხადა, რომ ოსმალეთში კონსტიტუცია ფუძნდება, სასახლეს ხარჯი უნდა შემცირდესო, უნდა დაისჯონ ყველა მოქრთამე ჩინოვნიკები, აგრეთვე სიკვდილით უნდა დასაჯონ ის პირნი, რომელთაც სალონიკში უწყსობდა მოახდინეს და ს ფრანგეთისა და ბერმანის ელჩები მოკლეს, ყოველი ღონისძიება იხმაროს, რომ ბერცოგოვინისა და ბოლგარიის არეულობა დამშვიდობოს და ჯარებსა და ჩინოვნიკებს ჯამაგირი დაურიგოს.

ახალ მინისტრებად გამოჩენილი და მეროპიულის განათლებისა და რეფორმის მიმდევარი პირები დაუნიშნაეს ხონთქარს და ეს კიდევ უფრო მომეტებულ იმედს აძლევს ყველას, ვისაც ოსმალეთის სიკოცხლე და სიმთლე მაინც-და მაინც ენატრება. ახალი მინისტრები არიან: მინტალ-ფაშა — დიდი ეფზირი, შალილ-ფაშა — გარეშე საქმეების მინისტერი და საღოკ ფაშა (ჩაიკოესკი) — ფინანსთ მინისტერი.

ეს კაცები ენერგიული და მცოდნე კაცები არიან; თუ ხონთქარმა ხელი მოუწყო და დათანხმდა ყველაფერ ცვლილებაზე, რასაც ესენი მოითხოვენ, შეიძლება კიდევ რამე ეშველოს ოსმალეთს.

მაგრამ მეორე მხრით გამოჩნდა ახლა ღრუბელი: სერბიას, ჩერნოგორიას, საბერძ-

ნეთსა და რუმინიას პირი მიუციათ ეროვნანტისთვის, რომ, თუ ენიცობაა, ომიანობა ატყდეს, ერთად ვიყენეთო ოსმალეთის წინააღმდეგოა. ეს ამბავი გუშინწინ მოცრდა დეპეშით ჩვენს ქალაქში.

ბ. დაცენებული ხონთქარის წყალობით, ოსმალეთი ისეთ ნაირად დეცა, ამ უკანასკნელ თხუთმეტ წელიწადში მთავრობა ისე საძაგლად და უანგარიშოთ იქცეოდა და ხალხი ისე დაეარდნა, რომ, სხვა რომ არავინ გაერიოს ომში, ეს ზემოხსენებული სამი პატარა სახელმწიფოც ადვილად მოერევა და დასძლევს იმას, თუ ომიანობამი მივიდა საქმე.

მაშასადამე პირველი და უმთავრესი მეცადინეობა ოსმალეთის ახალ მმართველობისა ამჟამად ის უნდა იყოს, რომ ომი როგორმე აიცილოს თავიდან. შევლაფერი უნდა დაუთმოს, ყველაზე უნდა დაეთანხმოს იმ ხალხებს, რომელნიც იმი ქვეშევრდომებად, იმის დამოკიდებულებაში ითვლებიან. უნდა ახსოვდეს ბრძნული ქეშპარიტება, რომ სულ არაობას კიდევ ცოტა რამ დარჩეს, ისა სჯობინ.

განცხადებანი

თფილისის ქლაქის გამგეობისაგან

შმაღლესის მთავრობის ნებართვით გასულ მაისის 8-ს მოიხპო მანეთის გადასახადი, რომელიც ქალაქის მუშებზე და მოსამსახურებზე იყო დანიშნული. ამ გადასახადის მიჯარადრები გადაყრებულნი არიან და შეგდგში გადასახადი მოიკრიბება ქალაქის გამგეობის განსაკუთრებულის განკარგულებით. ქალაქის გამგეობა საჭიროდ რაცხს, რომ ეს ამბავი საყოველთაო საცნობელად გამოაცხადოს.

(3-1)

გავფიქვამ გამოვიდა და ისპი-ღვა ამოთხე პარი

ქარაიანისა

ჟასი 40 კაპ. (3-3)

შე. ზ. ა. ბ. რ. ი. ჟ. რ. ვ. რ. და ამხ. ქაპაქსიის წიგნის საგაჰრ. მ. ლაზიანი, რომელიც იმყოფება კუკიის ხილზე, აქვე მხედრობის სახელქმეში, ისეცდება შემდეგი წიგნები:

- 1) ქართული ანბანი — იაკობ ბოგებაშვილისა, ფასი 5 კაპ.
- 2) ბუნების ქარი — იმისივე, ფასი 65 კაპ.
- 3) ქართული ანბანი — მდივანოვისა, ფასი 10 კაპ.
- 4) თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართველი ემაწილებისათვის 10 კაპ.
- 5) ქართული ანბანი — ისარლოვისა, ფასი 10 კაპ.

აქვე ისეცდება, იაფ ფასად, ყველა სახელმძღვანელოები სახალხო, სასულიერო და სხვა მკოლები ათვის. ქალაქს გარეშე მცხოვრებლებს მოთხოვნისათანვე პირველის ფოჩტივე გაეგზავნება წიგნები, ნისიათ წიგნებს მალაზია არავის არ უგზავნის. (3-1)

ამ წლის 30 მაისს, კვირას დილის 10 საათზე ელ მოიწვევიან პირნი, რომელთაც განაცხდეს წევრობის სურვილი ახლად შემდგარს „თფილისის სახელმწიფო-გაზრდის“ და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც ამ „პრების“ წევრობას შემდეგში მოისურვებენ და ჩიწერებიან. ამ დღეს უნდა ამოიჩიოს კომიტეტი, რომელიც პრების განხილვისთვის მოსამზადებელ მუშაობას იკისრებს (წესდება § 3). პრებაში წევრობა შეუძლიან: წესდების § 1 და 3 მუხლების ძალით: ხელოვნება-აღებს; ინჟენერებს, არქიტექტორებს, ქიმიკოსებს, ტენიკებს, დოქტორებს, მეურნეებს, ტოპოგრაფიის ლიტოგრაფიის და ფოტოგრაფიის პატრონთა, მხატვრებს, ქარხნებს და არტელერის გამგებელთა და აგრეთვე ქლაქს გარეშე მყოფთ ხელონათა.

პრება გაიხსნება ხელოვნების მთავარ სტარმინისა და აგრეთვე, ყველა 18 ამქრის უტაბშიისა და აგრეთვე თვითონ ამ პრების დამფუძნებელ პირთ თანდასწრებითა.

მ. კრება იქნება მგზ. რხს მაედანზე, ახლს მიხაილოვის სახელონო სახლში, სადაც ამჟამად სახლონო გამგეობა (უპრაფა) იმყოფება.

ხელონათ მთავარი უსტაბაში გარ-მან ვალინანი

ანდრია ქაპანაძე
დამფუძნებელი გ. ბიორგოზიანი
და ლ. ლუქანო
(2-1)

რ. ზ. ა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გაშვები	ფოტო	ბირჟა	მან. კაპ.	გაზანდა	მან. კაპ.
თფილისი	9 36	4 54			ა) შოთიღამ მიდის:	ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:	პეტერბურგი, 17 მაისს		თფილისი, 22 მაისს	
მცხეთა			68	38	მდესისკენ — შაბათს დილის 8 საათ.	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	პრთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფა.	80
ბორი	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს — კვირაობით, დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 32 პენსი.	84	ჭერი ფუთი.	55
ხაშური	2	11 10	3 92	2 18	ბ) მდესისიღამ:	ოთხშ., მსურგეთს — პარასკ და	პარიჟში 334 სანტიმი.	89	ბამბა მრევისისა, ფუთი.	5 50
ბეჟათუბანი			4 42	2 46	შოთისკენ — ორშაბ. ნასად. 3 სათ.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი (სარგებლისფასი)	5	— ამერიკისა, ფუთი.	6 30
შვირილა			5 81	3 23	სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე	შაბ. ბახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეტი 5%	100 25	ბანკტილი ბამბა ფა.	8
მუთაისი	8 23		6 75	3 75	შოთიღამ:	ბ) მ ფ თ ა ი ს ი დ ა მ:	მოგებიანი (პირველისფასი)	226	მატული თუშური ფა.	7 50
სამტრედია			7 73	4 29	I II III	თფილისისა და შოთისაკენ — ყო-	მოგებიანი (მეორე სესხი)	217 75	— მარაქამისა ფა.	7 50
ახ.-სენაკი			8 57	4 76	სოხუმამდი . 4 „ 3 „ 1 „	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-	ბირაოს ფურცლები:		აბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
შოთი	11 44		9 75	5 42	მერამდი . 20 50 15 50 5 „	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს	თფილ. სააზნ. ბანკისა.	94	ჭონი, ფუთი.	4
შოთი	8 40				ტაგანროგ. 34 „ 27 „ 8 60	— ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88	ჭონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ.-სენაკი			1 18	66	მდესამდი. 38 „ 30 „ 9 60	გ) ბ ო რ ი დ ა მ.	მოსკოვის (5%) . . .	86 75	სტეარინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია			2 6	1 14	ტალეგრაფი	შოველგან ყოველ დღე, კვირას	აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	60
მუთაისი	11 51		3 4	1 69	მ. ცი სიტყვა თფილისიღამ:	გარდა.	მდესის საეპრო ბანკის	172	— ცხვრისა, ლიტრა.	70
შვირილა			3 98	2 21	მუთაისს, შოთს 1	დ) შ ო თ ი დ ა მ:	შოთი-თფილ. რკინ. გზის	139 50	სპირტი, ვედრო.	6 60
ბეჟათუბანი			5 33	2 96	ბორს, ლუშეთს, სიღნახს . . . 50	შოველგან ყოველ დღე, კვი-	შავიზღვის ცეცხ. გემების	560	— შაქარი, ბროც. ფუთი . . . 7 10	
ხაშური	5 41	1 6	5 84	3 24	როსტოვს მდესას მოსკოვს 2	რას გარდა.	აქეპოვის და მერკურის . . . 168		— ფხვნილი ფუთი . . . 6 40	
ბორი	7 23	3 6	7 36	4 9	პეტერბურგს, პარაშეას . . . 2	წიგნის გაგზავნა რუსეთში	პირე. საზღვევ. საზოგ. 665		შავი გრგვლი ფუთი . . . 22	
მცხეთა			9 8	5 4	ოსმალეთში, შევიცარიაში 3	და სამზღვარ გარეთ:	პეტერბ. საზღვევ. საზოგ. 263		ხეთი ქუფჯუთისა ფა. . . 5 50	
თფილისი	10 16	7 24	9 75	5 42	იტალიაში და საფრანგეთში. 3 50	ლა წიგნის 4	მოსკოვის საზღვევ. საზოგ. 257 65		მქრო 1/2 იმპერიალი. . . 6 18	